



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2021 წლის 4 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №105/21
მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 30 აგვისტოს №105 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 31 აგვისტოს №417/105-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „ზ“ პუნქტების მოთხოვნები არ შეასრულა. დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნა, რადგან დავის საგანი არასწორად მითითების მიუხედავად არ შეწყვიტა საქმის წარმოება. მიუხედავად მთავარ სხდომაზე აღნიშნული საკითხის შუამდგომლობის სახით დაყენებისა, მოსამართლემ სასარჩელო მოთხოვნად კვლავ შემაკავებელი ორდერების გაუქმება მიიჩნია.

1.2. ასევე, საჩივარში მითითებულია, რომ მოსამართლემ სასამართლო სხდომაზე საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე ადგილზე თათბირით უარი უთხრა მხარეს მის დაკმაყოფილებაზე ისე, რომ არ განუმარტა განჩინების შინაარსი და არ ასახა იგი ოქმში. რაც საჩივრის ავტორის განმარტებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

1.3. ასევე, საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლემ ოქმში არ ასახა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების ვადა და წესი.

1.4. საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოსამართლემ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირა ერთი და იგივე საკითხზე, რომელსაც შინაგან რწმენასთან კავშირი არ აქვს. კერძოდ, მოსამართლემ საკუთრების გამოყენების ხელშეშლასთან დაკავშირებით ჯერ განაცხადა, რომ ეს იყო სამოქალაქო დავის საგანი, ხოლო შემდგომ იგი მიიჩნია ეკონომიკურ ძალადობად.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2021 წლის 13 აგვისტოს --- სასამართლოს ---, რითაც ითხოვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის --- 2021 წლის 9 აგვისტოს №-- და №-- შემაკავებელი ორდერების გაუქმებას.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 18 აგვისტოს განჩინებით -- -- სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში; დაევალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის -- -- 2021 წლის 9 აგვისტოს №-- და №-- შემაკავებელი ორდერების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, განჩინების ასლის ჩაბარების მომენტიდან 1 დღის ვადაში; საქმეში -- -- მოწვეულ იქნა წინამდებარე საქმის განხილვაში, როგორც დაინტერესებული პირი.

საქმეზე სასამართლო სხდომა გაიმართა 2021 წლის 20 აგვისტოს, სადაც -- -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის განხილვის შეწყვეტა ვინაიდან სარჩელში დავის საგანი არ იყო მითითებული. -- -- სასამართლოს საოქმო განჩინებით არ დააკმაყოფილა -- -- შუამდგომლობა. მოსამართლემ განჩინება სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადა.

-- -- სასამართლოს -- -- 2021 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოსარჩელების -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის -- -- 2021 წლის 9 აგვისტოს №-- და №-- შემაკავებელი ორდერები.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს

კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებები, რომელიც შეეხება მოსამართლის მხრიდან სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრას და მასში მოსამართლის ჩართულობის ხარისხს, არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის მხოლოდ ტრანსფორმირებაში.

ამასთან, რაც შეეხება შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხს აღნიშნულზე მსჯელობა, ასევე, სცდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილების ფარგლებს, რადგან წარმოადგენს აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობის შემთხვევას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- 2021 წლის 30 აგვისტოს №105 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1- 1.2 პუნქტები).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №105/21 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.3-1.4 პუნქტები).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი